სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობა“

მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

სპეციალობა - ეთნომუსიკოლოგია

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 81-100.

სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურებს სპეციალობაში.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. ხალხური სიმღერის რამდენიმე მუხლის აუდიოჩანაწერის მოსმენა და მისი დიალექტისა და ჟანრის განსაზღვრა (პასუხი იქვე უნდა შემოწმდეს და გასწორდეს, რომ გამოცდის მომდევნო ნაწილები სწორად წარიმართოს);
2. მოსმენილი მუხლების ნოტირება;
3. ნოტირებული სიმღერის მუსიკალური დიალექტის თეორიული ანალიზი;
4. გასაუბრება ნოტირებული სიმღერის ჟანრზე (დიალექტების მიხედვით);
5. ნოტირებული სიმღერის დიალექტისა და ჟანრის სხვადასხვა კუთხის ნიმუშების შესრულება სიმღერით (ყველა ხმის მღერით).

(სამუშაო დრო 5 ასტრონომიული საათი).